საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აპოლონი

აპოლონი (Bombus apollineus), ბუდის მშენებელი საზოგადოებრივი მწერი ფუტკრისებრთა ოჯახისა. კავკ. ენდემური სახეობაა. გვხვდება გაველიანებულ სუბალპ. მდელოებზე. საქართველოში გავრცელებულია სამხრეთ მთიანეთში (ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა), საქართვ. გარეთ - კავკასიონის დას. ნაწილში, სომხეთში, აზერბაიჯანში (ზუვანთი). მისი სხეულის სიგრძეა 1,7 სმ. დაფარულია თეთრი და შავი ბუსუსების ზოლებით, მხოლოდ მუცელზე აქვს შედარებით დიდი თეთრი ზოლი, თვითონ მუცელი კი ნარინჯისფერ-წითელი ბუსუსებით მთავრდება. ა. ფართო პოლიტროფია. ამტვერიანებს სუბალპ. მდელოების ყვავილოვან მცენარეებს. იხ. სტ. ბაზი.

ი. სხირტლაძე